№ 89 აპრილი 30, შაბათი 1888

| გაზეთი ღირს | | | |
| --- | --- | --- | --- |
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 2; | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

დღე... წერა-კ... ცელარია... სახლის ქუჩა... ფასი განცხად... რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მ. 25 კ.

ტფილისი, 29 აპრილი

ფლოკემ ბასტილიის დანგრევის მოსაგონებლად გამართულს გამოფენაზე თავის სიტყვაში სთქვა, რომ საფრანგეთის ერი, რომელმაც პირქვე დაამხო და შემუსრა რამდენსამე საუკუნეთა განმავლობაში ნათაყვანები კერპები, არ ეთაყვანება იმ კერპებს, რომელნიც რამდენიმე კვირაა, რაც ზოგიერთებს აღუმართავთ საფრანგეთშიო. ცხადია, რომ ფლოკეს ნიშანში ამოუღია ბულანჟე და იმისი დასი, რომელთაც ეგოდენი შფოთი და ლაპარაკი გამოიწვიეს საფრანგეთსა და მთელს ევროპაშიაც. ფლოკეს სიტყვა მართლა რომ მოსწრებულ სიტყვად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც იგი წარმოთქმული იყო საერთო შფოთისა და შიშის ჟამს და თვით იმ დღეს, როცა მთელი ერი იგონებდა ბასტილიის დანგრევას და შემუსვრას 1789 წელს, შემუსვრას იმ ციხისას, რომელშიაც გამომწყვდეულნი იყვნენ საფრანგეთის ერის თავისუფლებისა და ბედნიერების მოსარჩლენი და მღაღადებელნი, რის გამოისობითაც ბასტილიის დანგრევის დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის ისტორიაში შეუძლებელი საქმეა, ფლოკეს სიტყვამ დიდს ძალს ნაწილს საფრანგეთის საზოგადოებისას გულში არ მოჰხვდეს და არ დააფიქროს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბულანჟეს და იმის დასის მოქმედებას. ფლოკეს სიტყვა, უეჭველია, მოაგონებს და ჩააფიქრებს საფრანგეთის ერს იმაზე, თუ რის მომასწავებელია გატაცება კერპებითა, რომელთაც მრავალი განსაცდელი მიაყენეს საფრანგეთსა. ერთის სიტყვით, ფლოკეს სიტყვა სწორედ თავის დროზე წარმოთქმულია და შეეხება ფრიად მწვავე გარემოებას საფრანგეთის ერის ცხოვრებისას.

ყველანი იმასა ჰკვირობენ, რომ საფრანგეთში, რომელსაც ეგოდენი პოლიტიკური მღელვარება გამოუვლია, მოიპოვება ისეთი დასი, რომელსაც არ ეშინიან კერპების აჩრდილისა, ყველანი იძიებენ იმ მიზეზებს, რომელთაც დაჰბადეს ბულანჟიზმი. ზოგიერთის აზრით, მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის წარმომადგენელნი უნიჭონი და უხასიათონი არიან და რესპუბლიკის ინტერესს რიგზე ვერ ესარჩლებიან, მხოლოდ კერძო მოსაზრებათა მიხედვით მოქმედებენ და ამ გარემოებამ მოთმინებიდამ გამოიყვანა მთელი ერიო. ზოგნი-კი იმ აზრისანი არიან, ვითომ საფრანგეთის ერი ბუნებით დაუცხრომელი და მოუსვენარია, ივიწ ებს ისტორიას, მხოლოდ დღევანდელის დღით გატაცებულია და წარსულსა და მერმისს არ დაეძებსო. ეგ აზრი იმდენად ძლიერი და გავრცელებულია, რომ თვით მეცნიერებაშიაცკი მოუპოვებია მომხრეები. ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, რომ საფრანგეთის ერი თავისის დაუცხრომელობით, სიმსუბუქით და სამხედრო მიდრეკილებით მოგვაგონებს თავიანთს წინაპრებს—ცეზარის დროინდელ გალებსა და რომაელებსაო. ამასთანავე იმასაც ამბობენ, რომ საფრანგეთის ერს ისტორიული გამოცდილება აქვს და გონებაცა და ნიჭიც შესწევს, მაგრამ აკლია ზნეობრივი სიმტკიცე და ძლიერება, რომელიც შეადგენს ერის ბედნიერებასა, სიმკვიდრესა და საძირკველსაო.

ზემოდ მოხსენებულ აზრებს ძლიერ გამოჩენილი მომხრეები ჰყავს და ეგ სხვა-და-სხვაობა აზრებისა იმის საბუთია, რომ საფრანგეთის დღევანდელ მდგომარეობის მიზეზები მეტად რთული და ძნელად გამოსაცნობია.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ამას წინად ბორჩალოს პოლიციის ბოქაული ქალაქში ჩამოსულა და როცა მნაცაკანოვის ხიდზედ გასვლა დაუპირებია, ხიდის მებაჟეს ბაჟი უთხოვნია. ბოქაულს ძრიელ სწყენია, როგორ გამიბედეთ მე, პოლიციის ბოქაულს, ბაჟის თხოვნაო, აუღია მათრახი და ცხენ-და-ცხენ დაუწყია ცემა საბრალო მებაჟისათვის. როცა კარგად დაუსისხლიანებია, უკრავს ცხენის თვის ქუსლი და არხეინად წაბძანებულა. ამ საქმის თაობაზედ საჩივარი შესდგა და ბოქაულის მოქმედებას იძიებენ.

*** გუშინდელს ნომერში იყო მოხსენებული, რომ ვიღაცა საექიმო ყოფა-ქცევის ქალი იმერლებმა ცას ჰრეს კრწანისის ბაღშიო. ეხლა ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ის ქალი დაუჭრია აბანოების ახლო თავის საყვარელს, ქალაქელ სომეხს აფეტიკა ანდრიასოვს. წინად სონა (ასე ეძახდნენ იმ ქალს) სარისკიპის სახლში ყოფილა, მაგრამ ანდრიასოვს გამოუყვანია, ცალკე სახლი დაუქირია და თავის ხარჯით არჩენდა თურმე სონას. ცოტა ხნის შემდეგ რაღაცა უსიამოვნება მოსვლიათ საყვარლებს და ქალს აღარ გაუტარებია თავისთან ანდრიასოვი. სამშაბათს ანდრიასოვი მიდენილა ქუჩაში, სონას დაუწყია იმისთვის უშვერის პირით ლანძღვა. მთვრალს ანდრიასოვს დანა ამოუღია და რამდენსამე ალაგას დაუჭრია საცოდავი სონა. დაჭრილი უკვე გარდაიცვალა.

*** გორი: მტკვარი ძრიელ ადიდდა და წყალმა თუ არ დაიკლო, მოსალოდნელია, რომ მასასვლელი მიწის ზექი მოჰვლიჯოს კიდეცა. ამ დღეებში მტკვარმა დაარჩო რკინის გზის სტანციის მოხელის პატარა ქალი.

*** ზემო-ქართლი: როგორც ნამდვილს გვატყობინებენ, ზემო-ქართლში მოსავალს ძრიელ კარგი პირი უჩანს. წვიმამ ხელი შეუწყო ჯეჯილებსა; ბალახიც კარგი მოდის და იზრდება, რადგანაც წვიმა და ტაროსი ჰშველის.

*** ბათუმი: ახალმა პოლიციის უფროსმა თავისის ახლადვე გამწესებულის თანაშემწეთურთ ჩაიბარა ქალაქი. საქმის მართვა უკვე დაიწყეს. ბათუმის საქალაქო საქმეების დალაგებას და რიგზე მოყვანას კაი სარისტა და გამოცდილება დასჭირდება. ჯერ-ჯერობით ამათზე არა ითქმისრა; ვნახოთ, ამათ ხელში როგორ წავა ბათუმის საქმე.

სააღდგომოდ ძალიან ძვირად იყიდებოდა ხორაგი და სხვა სანოვაგე. მიზეზი ამისა ის არის, რომ სოფლიდგან შემოტანილს სანოვაგეს ქალაქ გარეთ მაწანწალა ჩარჩები ყიდულობენ, ქალაქის პირში ესენი სხვაზე ჰყიდიან და ესენი კიდევ სხვაზე, ასე რომ ჩვენ მესამე-მეოთხე ხელიდგან უნდა ვიყიდოთ. იმედია, პოლიციის უფროსი მოახდენს შესაფერს განკარგულებას, რომ სოფლის ხორაგი სავაჭრო მოედნებზე საყოველთაოდ ისყიდებოდეს.

## † რაფფი

(აკოფ მელიქ-აკოფიანი)

აღდგომა დღეს, ღამის პირველს საათზედ, გარდაიცვალა ნიჭიერი სომეხთა მწერალი-ბელლეტრისტი, აზნაური აკოფ მელიქ-აკოფიანი, რომელიც რაფფის სახელითა სწერდა. რაფფი იყო სპარსეთის ქვეშევრდომი, სალმასტის სათემოს სოფლის ფაიაჯუქიდამ.

ვინც იმას ყმაწვილობითვე იცნობდა, ისინი ჰმოწმობენ, რომ თერთმეტისა თუ თორმეტის წლისა 1852 წელს იგი მოიყვანა იმისმა მდიდარმა მამამ ტფილისში სწავლისა და განათლების მისაღებად. ტფილისში მიაბარეს იგი ყველასაგან მაშინ ცნობილს კარაპეტ ვარჟაპეტს (მასწავლებელს) ბელახიანს, რომელიც ეხლა სოფ. წავკისში სცხოვრობს. ბელახანისაგან განსვენებულმა ისწავლა სომხური მწიგნობრული ენა. შემდეგ ამისა იგი მიაბარეს კეთილშობილთა

# ფელეტონი

## უცხოეთა შორის

ჩვენც ვიმხიარულეთ!—ბატონი ყმასა ასაქმებს და მეფელეტონეს?..—იაფად არ დაუჯდება ბულანჟეს ჩემი შეწუხება!—ბულანჟეზე გადარეული მზარეული დედაკაცი.—ახალი მოდა—„ბულანჟეროზა“.—„როშფორი და გაზეთი „კოკარდა“.—არც ასე თვალის დაბრმავება უნდა!—შინაური, უჩინარი მტერი.—პრუსიელი ჯარის-კაცი და ფილოქსერა.—რომელი ომი უფრო საშიშარია?—გამოცანა!—გამოცანის ახსნა.—მოლალატე და უცნაური წერილი.—საკვირველ არიან საქმენი შენნი, ჰოი დედაკაცო!

მორჩა დიდ-მარხვა სინანულისა და აღდგომაც სიხარულისა. მოვრჩით ჩვენც ჩვენს მოვალეობას: დიდ-მარხვაში სული მოვინანიეთ და აღდგომას ვიმხიარულეთ. დიახ, ვიმხიარულეთ! ვიმხიარულეთ ისე, როგორც მოითხოვს წესი და რჯულთ უმტკიცესი ჩვეულება.

ახლა?..

—ახლა-კი კმარა მხიარულებაო, გასწი, გაისეირნე „უცხოეთში“, მოიარე ეს საფრანგეთი, ინგლისი, გადადი ამერიკაში, ნუ დაიზარებ და ჩინეთშიაც შეიარე, თუ მოასწროვო; აბა არც დაიგვიანო, მალე დაბრუნდი, დაჯექ და უამბე მკითხველებს, რაც საყურადღებო ჰნახო და გაიგონოო...

ადვილია თქმა გასწი, გაისეირნეო, მეტადრე როდესაც ეს „გასეირნება“ იმას მოასწავებს, რომ უნდა ოთახში ჩაიკეტო, მთელი დღე შ ნიდამ გარეთ ფეხი არ გამოსდგა და საწერ-კალამს არ მოშორდე!.. აქ შინ დალერემილ კედლებს და პირ-მოქუშულ ჭერს უნდა შეჰყურო, და იქ გარეთ-კი შეჰხედეთ, რა ამბავია: ბუნება «აღდგომას» ეხლა დღესასწაულობს! აგერ ცაც როგორ მხიარულ ფერზედ გამოიყურება. დედამიწაც გალეიძებულა და შეჰხარის ცასა. ტყეც ფოთლით შემოსილა, „აგერ მერცხალი“ ხომ კარგა ხანია „ჰყივის“, „ბაღშიც ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“... გული მიიწევს იქ, სადაც „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები“, რომ ამ «აყვავებულ მთამდელოებზე» დასტკბეს და „მეტის ლხენითა“ ისიამოვნოს... გული აქ გწევს და შენ-კი გეუბნებიან:

—არა, დაჯექ და „უცხოეთზე“ სწერეო!

აბა რა «უცხოეთისა» მცხელა ამისთანა დროში, თქვენა გკითხავთ. მაგრამ რას იზამთ? ბატონი ყმასა ასაქმებს და «მეფელეტონეს» ის, რომ... „გეუცხოეთება“ თუ არა, ბულანჟეზე ორიოდე სიტყვა მაინც უნდა სთქვა, არ შეიძლება: მთელი ევროპა ეხლა მაგაზე ლაპარაკობს და საფრანგეთში ხომ თითქოს ჭკუაზე შეიშალნენ, სულ ბულანჟეზე ჰბოდავენ

**

ოჰ, ეს ბულანჟე, ბულანჟე! რაღა ბატენბერგი და რაღა ბულანჟე! ბატენბერგმა ხომ სული ამოგვართვა და ახლა ბულანჟე აპირობს, მგონი, იმის ადგილის დაჭერას. ღმერთმა ნუ ჰქმნას: ეხლავე გულს მიწყალებს, სულს მიწუხებს. ბედი იმისი, რომ აქედამ შორს არის, თორემ იაფად არ დაუჯდებოდა ჩემი შეწუხება. გეფიცებით, არ შემეცოდებოდა და შეუბრალებლად, სასტიკად დავსჯიდი: ერთს წამში ან ამ კალმის წვერზე ავაგებდი, ან თავდა-ყირამალა აი ამ საწერელში ჩავაყუდებდი და მელანში ჩავარჩობდი. ამით, იქნება, საფრანგეთისათვისაც მეშველა, და თქვენ ხომ, მკითხველო, დაგიხსნიდით ამდენ ლაპარაკისაგან ბულანჟეზე.

ლაპარაკით-კი იმდენს ლაპარაკობენ ბულანჟეზე, მეტადრე პარიჟში, რომ ბევრმა ამ ლაპარაკში ჭკუაც თან გადააყოლა. აი, მაგალითად, ერთს მზარეულს დედაკაცს ყოველ დღე იმდენი და ისეთი საოცარი ამბები ესმოდა ბულანჟეზე, გაზეთებმა ხომ ყურები ისე გამოუჭედეს და თავი ისე გამოუბრუეს ამ ამბებით, რომ საწყალ დედაკაცს, მძინარეს თუ მღვიძარეს, სულ ბულანჟე ელანდებოდა, სულ იმის ქება-დიდებაში იყო. ბოლოს იქამდის მივიდა, რომ მეზობლებსა და ნაცნობებს სულ იმას ეხვეწებოდა, ბულანჟე ღმერთს შეავედრეთო. პატარა ყმაწვილებს ხომ ემუქრებოდა და აშინებდა,—გცემთ, თუ ბულანჟესათვის არ ილოცავთო. თითონაც, რასაკვირველია, გულ-მოდგინედ ლოცულობდა, ისე გულ-მოდგინეთ, რომ ერთს დღეს კარგა მაღლა, ღია ფანჯარაზე შემდგარიყო და იქიდამ გადმოიძახოდა: „გაუმარჯოს ბულანჟეს! ღმერთს შეავედრეთ, რომ დიდხანს იცოცხლოსო!“

სთქვა ესა, გაშალა ხელები და მაღლიდამ გადმოხტომა დააპირა, ამის ბედზე მიასწრეს ოთახიდამ და დაიჭირეს, თორემ სხვისთვის მლოცველი თავის სულის მონანიებას ველარ მოასწრობდა. საბრალო დედაკაცი საგიჟეთში გაგზავნეს.

განა ერთია და ორი ასეთი და სხვა ამ გვარი მაგალითები? ბულანჟეს თაყვანის-ცემა, ესრედ წოდებული „ბულანჟერობა“ დღეს საფრანგეთში გადამდებ სენისავით არის მოდებული, ყველა ბულანჟეს სახელით არის მონათლული, ჯოხებს, ყელ-სახვევებს, ჩიბუხებს «ბულანჟისებურებს» ატარებენ. ეს კიდევ არაფერი, ბევრსა ჰსურს თურმე, მოდად შემოიღონ შავის სათვალეების ტარება და ცალ ფეხზე კოჭლობით სიარული,—მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბულანჟე საპატიმროდამ გამოიპარა და პარიჟში ამ სახით შემოვიდა ქურდულად.

**

ყველა ეს შესაძლისია. დრო მოიტანს, რომ ადამიანი მეტს სისულელესაც ჩაიდენს ხოლმე ერთის კაცის გულისათვის. ვიღაც მზარეული დედაკაცი რომ ჭკუაზე გადირიოს ბულანჟეს გამო, ესეც შესაძლოა. ხოლო აი. ამას კი ვერ მიმხვდარვართ, ამ გადაყრუებულს როშფორს რაღა

...ცფის ...ერგა მას ...სა ძობლო ლიტერატურისა და წაახალისა ამ ასპარეზზედ მოქმედებისათვის.

1857—1860 წლამდე განსვენებული რაფფი ჰშველოდა თავის მამას ვაჭრობაში და მამის საქმეების გამო შემოიარა თითქმის მთელი სომხეთი. ამ წლებიდგანვე იწყება იმისი ლიტერატურული მოღვაწეობა. 1857 წ. ჯერ ჩვიდმეტის წლის ჭაბუკმა დასწერა აღწერა ახთამარის მონასტერისა, რაშიაც გამოითქვა იგი მიმართულება, რომელსაც რაფფი უკანასკნელ დღემდე არ გადასცდენია. ამ წერილში იგი ძალიანა ჰკიცხავს სომეხთა სამღვდელოებას. ამის შემდეგ დასწერა მან ყველასაგან ცნობილი ლექსი—„ძაინ ტურ ოვ წოვაკ", რომელსაც დღევანდლამდე ჰმღერის სომეხთა ყმაწვილ-კაცობა. მას ჰქონდა კიდევ ამ ნაირივე ძლიერი ლექსი—„მშაკ", რომელშიაც აღწერა უბედური ყოფა მუშისა გაზაფხულსა, ზაფხულსა, შემოდგომასა და ზამთარში. ამავე წლებში დაიწყო თანამშრომელობა მაშინდელს საუკეთესო ჟურნალში—ჰიუსისაფაილში (ჩრდილოეთის ნათელი), რომელიც გამოდიოდა მოსკოვში ნაზარიანის რედაქტორობით.

1860 წელს რაფფის გარდაეცვალა მამა და ცხოვრებაში გამოუცდელი მწერალი დიდს სიღარიბესა და გაჭირებაში იყო. განსვენებული სიამოვნებით იგონებს სწორედ ამ დროს, როცა მშიერი ღამეებს ათევდა ავლაბარში, ცივსა და გაუმთბარს ოთახში, ცალის ხელით სამ-ფეხა სტოლს იმაგრებდა და მეორეთი სთხზავდა მასალას იმ დიდ წიგნებისას, რომელთაგანაც ბევრი ჯერ კიდევ ხელ-ნაწერად არის დარჩენილი. 1871 წ. რაფფიმ მონაწილეობა მიიღო გრიგოლ იერემიას ძე არწრუნის კრებაში, ...ლას აგროვებდნენ და პრო- ...არდგენდნენ გაზ. „მშაკისას". ...ნებში განსვენებული უფრო-და- ...კრო მეტს სიღარიბეს ითმენდა. თითონ განსვენებული ამბობდა ხოლმე თავ-მოწონებით, რომ მეშინოდა არ დავვენახე ვისმე და ამიტომ მთელი დღე მშიერი ვიჯექი, ბინდს ველოდდი, რომ გარედ გასვლა და მეფურნისაგან ხუთის გროშის პურის ყიდვა შემძლებოდაო. ერთხელ ზემოხსენებულ არწრუნის კრებაზე დასასწრებად მოდიოდა თურმე და ავლაბრის დაღმართზე რაფფის წაღის ძირი გავარდა. განსვენებულმა წაღის ძირი ბაწრით მიიმაგრა და ამ სახით მთელი საღამო ბ-ნ არწრუნთან გაატარა, ისე, რომ არავისათვის შეუმჩნევინებია. 4—5 საათის განმავლობაში სკამზედ დაკრულსავით იჯდა, რადგან ეშინოდა, წაღა არ დაინახონ და ჩემი სიღარიბე და გაჭირებული ცხოვრება არ გამომჟღავნდესო.

თუ არა ვსცდებით, განსვენებულის სიტყვით, სწორედ ამ საღამოს უბეში ჰქონდა თურმე თავისი ეტნოგრაფიული წერილები სპარსეთიდგან, რომელსაც ქვეშ მოწერილი ჰქონდა „რაფფი". რაფის სახელი ამ წერილებთან ერთად მოესმა სომეხთა საზოგადოებას პირველად 1872 წელს, პირველ ნომრებიდგანვე გაზეთ „მშაკისა", რომელშიაც ნიჭიერი მწერალი განუწყვეტლადა ჰმუშაობდა 1885 წლამდე, ე. ი. გაზეთის დროებით შეჩერებამდე. ამ წერილებში რაფფი თეირანზე ლაპარაკის დროს ალექსანდრე ბატონიშვილზედაც იწერებოდა ცნობებს. ეს ცნობები მაშინ ქართულადაც გადმოითარგმნა და „დროებაში" იყო დაბეჭდილი 1871, თუ 1872 წელსა. ის გარემოება, თუ როგორ უფრთხილდებოდა რაფფი რედაქციის ფულსა, შემდეგის ამბავიდგანა სჩანს: რაფფი რედაქციაში უსასყიდლოდ ჰმუშაობდა; ამ დროს გარდაეცვალა ღვიძლი ძმა და რედაქტორისათვის შემწეობა არ უთხოვნია; სადღაც ისესხა სამი მანათი, გარდაცვალებული ძმა ფაიტონში ჩაასვენა, წაიღო სასაფლაოზედ და დაჰმარხა.

ამის შემდეგ გამოსცა 2 ნაწილად თხზულება «ფუნჯ», რომლის პირველს ნაწილში ლექსებია მოქცეული და მეორეში—პროზა. ამ თხზულებაში დაბეჭდილია პატარ-პატარა აღწერილობანი ტფილისისა და სპარსეთის ცხოვრებიდგან და დიდის ხელოვნებით არის დახატული ტიპები ტფილელ წურბელა სომხებისა. ამ თხზულებაშივეა დაწვრილებით აღწერილი სპარსეთის ჰარამხანები.

ამის შემდეგ სიღარიბის გამო რაფფი ძალა-უნებურად იძულებულ იყო, რომ შუშაში, თავრიზში, წასულიყო მასწავლებლად, იქიდგან აგულისს, საიდგანაც 1876 წელს, თავის „მშაკში" თანამშრომლობის მეხუთე წელს, ისევე დაიბარა ბ-ნმა არწრუნმა ტფილისში. ამ დროიდგან იწყება იმისი გამუდმებული მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზედ თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

რაფფი ხალხის ღვიძლი შვილი იყო, ერს ეკუთვნოდა და ამ ერსავე უდგა წინ ფარად. მთელი თავისი სიცოცხლე ამ გამოჩენილმა მწერალმა თავის ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და შრომაში გაატარა. გაზეთი „მშაკი" თუ სულ ერთიანად არა, ძალიან დიდად, დიდად მადლობელი უნდა იყოს რაფფისა, რომელმაც თავის ნაწერებით გაზეთს გზა გაუკვალა, გაავრცელა და მკითხველები მოუპოვა.

რაფფი უკვე კარგად ცნობილი პოეტი და ბელლეტრისტი იყო, რომ 1880 წელს დაიწყო სომეხთა ისტორიის შესწავლა. პირველად მან დასწერა ისტორიული გამოკვლევა ხანების მელიქებზე. ამ ნაწერებში ცოტა ძვირფასს მასალას არ იპოვის, სხვათა შორის, საქართველოს ისტორიკოსიცა.

ამ გამოკვლევის შემდეგ რაფფიმ დაჰბეჭდა თავისი ისტორიული ესკიზი მე-IV საუკუნიდგან და მერე გამოსცა დიდი ისტორიული რომანი „დავით ბეგ", XVIII საუკ. ცხოვრებიდგან, რომლითაც სომეხთა პირველ ხარისხოვან ისტორიკოსის სახელი გაითქვა. ეს რომანი შეეხება საქართველოს ცხოვრებასაც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს, ვახტანგ მეფის დროს. უკანასკნელი შრომა განსვენებულისა—„სამუელ", ისტორიული რომანი სამ ნაწილად, დაუსრულებელია და სრულიად ღირსეული ნაწერია ღირსეულის მწერლისა.

არა-მცირეოდენი სამსახური მიუძღვის რაფფის სომეხთა ლიტერატურის წინაშე იმ მხრივაც, რომ მან პირველმა დაადგინა და შემოიღო წმინდა სომხური ლიტერატურული ენა.

ბოლოს დროს განსვენებულის ნატვრა ის იყო, რომ სპარსეთში უნდოდა გულით წასვლა და ნახვა იქ ცნობილის ზენდის სწავლულისა, რომელთანაც უკანასკნელ ხანამდე მიწერ-მოწერა არ შეუწყვეტნია. რაფფის უნდოდა, რომ იმასთან ერთად შეესწავლა სპარსეთის ისტორიულნი წყარონი და ამ სახით სომეხთა ისტორიისათვის ძვირფასი მასალა ეშოვნა. ჩვენს დროს სომხების არც ერთს მწერალს არა ჰყავნდა იმდენი მკითხველი, რამდენიც რაფფისა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არა ვარ ავტორი თიონეთიდგან გამოგზავნილ წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიის" მე-74 №-ში, და ამით თავიდგან ამაცილოთ თიონელების საყვედური. *)

თიონეთის სკოლის მასწავლებელი
დავით თაბუნიძე

# უცხოეთი

**იტალია.** 19-ს აპრილს იტალიის მემკვიდრე პრინცი კინაღამ უმსხვერპლია ერთს უბედურს შემთხვევას: პრინცი ტიბურტინოს ფორტში ყოფილიყო და იქ თვალ-ყურს ადევნებდა ოფიცრების მუშაობას, რომელნიც სცდიდნენ, როგორ მოქმედობს ახალი ასაფეთქი წამალი. ამ დროს უფეთქნია ერთს რკინის ყუთს, რომელშიაც ის ახალი წამალი ყოფილა, გამსკდარა და, სხვათა შორის, პრინცც დაუჭრია ყუთის ნატეხებს. პრინცის ჭრილობა სუბუქია და პრინცს არაფერი დაუშავდებაო, უთქვამს მეფის ექიმს, როცა უნახავს და შეუმოწმებია მემკვიდრე პრინცის ჭრილობანი.

— წინა დღეს კიდევ, 18 აპრილს, კინაღამ დიდი უწესოება არ ასტყდა რომში იმის გამო, რომ იტალიის სახელოვანს ფილოსოფოსს ჯიორდანო ბრუნოსათვის მეგლი უნდა აუგოთ. ეს საქმე დიდი ხანია დაწყებულია და აქამდე-კი ჯერ ბოლო არ მოჰღებია. პაპის მომხრენი და კლერიკალები წინააღმდეგნი არიან მეგლის აგებისა იმ კაცის სახსოვრად, რომელიც დასწვა ინკვიზიციამ 1660 წელს. ლიბერალები-კი ამაზე ცეცხლს იკიდებენ და ამ ორ დასს შუა არის გაუთავებელი დავა და კაი-კაცლახი.

— რუსული გაზეთები «Новости» და „Нов. Вр." ჰკიცხავენ იტალიის მთავარ-მინისტრს კრისპისა და დიდად უძრახებენ საგარეო პოლიტიკას. რა იტალიის საქმეაო, ამბობენ ეს გაზეთები, რომ ავსტრიისკენ გაება ლაშქრობაშიო; ან რა საჭიროა იტალიისათვის, რომ ეს სახელმწიფო ევროპის შუაგულ სახელმწიფოთა კავშირს მიემხროსო. ეხლა იტალიას კავშირი აქვს შეკრული გერმანიასთან, ავსტრიასთან და ინგლისთანაო. ამას გარდა ესარჩლება და ექომაგება ბოლგარიასაცაო. ახლა, ამბობს ერთი ზემოხსენებული გაზეთი, რა საბუთია ის საბუთი, რომელიც კრისპიმ მოიყვანა თავის პოლიტიკის გასამართლებლად, როცა სთქვა: იტალია ისეა წარმოშობილი, რომ უთუოდ უნდა ესარჩლებოდეს სხვა-და-სხვა ეროვნებასა და იცავდეს იმათ დამოუკიდებლობასაო. არა, აქ სხვა მიზეზია და ეს მიზეზი ის არის, რომ იტალია საჩუქარს ელის იმათგან, ვისთანაც ეხლა ერთად არის და ვის გულისათვისაც ამოდენა ხარჯსა სწევს ავსტრიკის ლაშქრობაზე, ჯარების გაძლიერებასა და ციხე-სიმაგრეთა აგებაზეო.

**გერმანია.** «Kölnische Zeitung»-ი

*) რედაქცია აცხადებს, რომ თაბუნიძე არ არის ხსენებულის წერილის დამწერი.

---

დაჰმართებია, რომ გაზეთს „კოკარდას" მეთაურებს მხარს აძლევს და ბულანჟეს ხელს უწვდის. „კოკარდა", მართალია, გამოცდილი ძალაა, და საუცხოოდაც მოქმედებს, როცა ხალხის მოხიბლვა უნდათ, მაგრამ როშფორი როგორა სტყუვდება, განა დაავიწყდა ნაპოლეონის დრო და ბატონობა? ხომ სცადა თავის თავზედ, ხომ სწვნია, რა ძალაცა აქვს „კოკარდას"! კაცი მწერლობაში დაბერდეს, კაცი იმის მნახველი იყოს, რაც როშფორმა თავის სიცოცხლეში ნახა, და ჭკუა ვერ ისწავლოს, დღესაც თავის ნებითვე ჰყოფდეს თავსა იმ მახეში, საიდამაც ამ ოცის წლის წინად ძლივს დაიხსნა თავი საფრანგეთმა. ბულანჟე რომ წინად გამოჩენილიყო, როშფორი პირველი გაემკლავებოდა და თავის ბასრის კალმითა და ლვარძლიანის ენით მიწასთან გაასწორებდა, დღეს-კი იმავ ბულანჟეს წინ მუხლს იდრეკს.

განა ეს დასაჯერია, შესაძლისია? მოდი ნუ დაიჯერებთ, როცა საქმე ნამდვილად ასეა? ან-კი რა არ არის შესაძლისი, როცა კაცს მტრობა, შურის-ძიება ამოქმედებს. ეს მტრობა და შურის-ძიება არა მარტო როშფორს, სხვასაც ბევრს თვალებს უხვევს და გონებას უხშობს საფრანგეთში. ყველას თვალ-წინ უდგა შეთოფიარაღებული გერმანია, 1870 წელი, ძალად წართმეული ელზას-ლორენი, და ამის იქით აღარაფრის დანახვა არ უნდათ.

**

მართალია, საშინელი იყო 1870 წლის ომი საფრანგეთისათვის, მეტად ძვირად დაუჯდა საფრანგეთს ეს ომი და ადვილად ვერ ამოიღებს გულიდამ მაშინდელ დამარცხებას, მაგრამ არც ისე თვალის დაბრმავება უნდა, რომ იმის იქით სხვას ვერაფერსა ჰხედავდეს. კაცი ამავე დროს საფრანგეთს ომი ჰქონდა უფრო საზარელს მტერთან და დღეს ეს მტერი თითქმის აღარც-კი ახსოვს.

მოსვენებას არ აძლევს საფრანგეთს გერმანიის ჯარი, მოჩვენებასავით თვალ-წინ უდგა ულვაშებ გადაგრეხილი, თვალებ დაბრიალებული, ხესავით გამოჭიმული, თავით - ფეხამდე იარაღში ჩასმული, ომში გულ-ქვავი, შეუბრალებელი პრუსიელი ჯარის-კაცი. დიახ, საშინელია პრუსიელი, მაგრამ უფრო მეტად საშინელია ის მტერი, რომელიც ეს ოცი წელიწადია შემოჰსევია საფრანგეთს და თავს აღარ ანებებს. მით უფრო საშინარია ეს მტერი, რომ თვალთ-უხილავია, უჩინარი, დაფარული. შედარება რომ გინდოდეს, ვერც-კი შეადარებ პრუსიელსა. თოფ-იარაღში, ეგონებთ, პრუსიის ჯარებს არ უნდა ჩამოუვარდეს, რადგან სადაც-კი მოედება, სულ მუსრს გაადენს ხოლმე, თუმცა, როგორც გითხარით, ჯერ არავის-კი უნახავს. ამათ ჯარებსაც ახალი ხაზინის თოფები აქვთ, თუ უფრო უკეთესიც; სიმრავლით-კი იმდენნი არიან, რომ რაც დედამიწის ზურგზე ჯარებია, სულ ერთად რომ შეჰკრიბოთ, მაინც ამათთან არაფრად გამოჩნდებიან.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს მტერი ის პაწია, უჩინარი ცხოველია, რომელსაც ფილოქსერას ეძახიან. ფილოქსერას ჩვეულებად არა აქვს ჯერ ომი გამოუცხადოს თავის მტერსა და თავს მერე ისე დაესხას; პირ-იქით, კრინტს არ დასძრავს, ჩუმად, ქურდულად შემოიპარება, ვაზს ძირში ჩაუდგება და სულ ძირიანად ამოაგდებს ხოლმე.

საზოგადოდ ომი დამღუპველია, მეტადრე იმისათვის, ვინც დამარცხებული გამოვა ომიდამ. მაგრამ ხშირად თვით დიდი და საშინელი ომი, სადაც ასი ათასობით ხალხი იხოცება, ისეთი დამღუპველი არ არის, როგორც ჩუმი, ნელი, შინაური ომი. მაგალითად, საფრანგეთს 1870 წლის ომი გერმანიასთან დაუჯდა ხუთი ათასი მილიონი, და ფილოქსერასთან ომი-კი იმავ საფრანგეთს ერთი-ორად მეტი დაუჯდა. გამოანგარიშებულია, რომ 1875 წლიდამ 1887-დე ფილოქსერას საფრანგეთისათვის ათი ათასის მილიონის ზარალი მიუცია. შვიდი ათასის მილიონისა ვაზია გაფუჭებული, ორი ათას მილიონზე მეტი ზარალი მოუვიდათ ღვინოზე, რადგან ნაავადმყოფარ ვაზისა კარგი ღვინო ველარა დგება და ამიტომ ეს ღვინო უწინდებურზედ ნაკლებად იყიდება, და ერთი მილიონი კიდევ ავადმყოფ ვაზის წამლობა დამჯდარა.

აი რა მტერი გახლავთ ის შინაური მტერი, რომელიც ამდენი ხანია ჩუმად ეომება საფრანგეთსა. გერმანიას ასე თუ ისე გაუსწორდება, შესაძლოა შეურიგდეს კიდეც, ფილოქსერამ-კი შერიგებაც არ იცის; ან შენა და ან მეო,—ეტყვის ხოლმე მტერსა, როდესაც ომს გამოუცხადებს. საფრანგეთს კარგა ხანია ეწევა ეს მტერი და ძალიან ძვირადაც უჯდება ამასთან ბრძოლა, და ჯერ კიდევ ღმერთმა უწყის, როდის მოეღება ბოლო...

ნუ თუ ეს ნაკლებ დასაფიქრებელია, ვიდრე გერმანიის ჯარის ამოყრა? განა როშფორსა და იმის ახალ დამქაშებს არ ესმით, რომ შინაური მტერი უფრო მძლავრი და საფიქრებელია, ვიდრე პრუსიის ჯარების შემოსევა; რომ ამ შინაურ უჩინარ მტერთან თვით ამათი ჩაქები ბულანჟეც ვერას გააწყობს; რომ ამ შინაურს მტერს უფრო მეტი ყურადღება უნდა, ვიდრე გარეულსა?.. ესმით, როგორ არ ესმით! ყველა ეს ჩვენზედ კარგად იციან, მაგრამ... მაგრამ? მაგრამ და „გაუმარჯოს ბულანჟესაო!", გაიძახიან თავისას, თითქო ამ ხალხსაც, ზემოდ ნახსენებ მზარეულ დედაკაცისა არ იყოს, ბულანჟესათვის გადუყოლებია ჭკუა და გონებაო...

მოდი და ელაპარაკე ამათ! გამოცანაა ამათი საქმე!..

**

გამოცანაა აგრეთვე ერთ პარიჟელ მანდილოსნის საქციელი, თუმცა ეს გამოცანა უფრო ადვილი მისახვედრია.

იყო პარიჟში ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი მშვიდი, წყნარი, ოჯახის ერთგული კაცი იყო,—ცოლი... ცოლის ამბავი ჯერ წინ არის.

ერთს დღეს ქმარი სამსახურიდამ

ამბობს, რომ გერმანიამ და ინგლისმა კავშირი შეჰკრეს ერთმანეთშიო.

— ვისბადენში იმპერატორის წასვლა არ მოხერხდება. თუ წასვლა იქნება, ისევ პოტსდამში წავა და იქ გაატარებს ზაფხულსა. თუმცა იმპერატორი ავად არის, მაგრამ მაინც დიდის გულ-მოდგინებით ადევნებს თურმე თვალ-ყურს სახელმწიფო საქმეებსა.

— ერთს მკურნალს, გვარად ბარდელებენს, გაუსინჯავს იმპერატორი ფრიდრიხი 18 აპრილს და უთქვამს, რომ ახლა იმპერატორს აღარა უშავს-რა და ნელ-ნელა სრულიად განთავისუფლდება ავადმყოფობისაგანაო. „ეგ ძალიან სანუგეშო იქნება ჩემთვისაო“, სთქვა თურმე იმპერატრიცამ.—დიახ, თქვენო დიდებულებავ, სანუგეშო მერმისი მოელით შემდეგშიო, უთქვამს მკურნალსა.

— ზოგან გერმანიაში პასტერები შეჰვედრებიან ღმერთსა, რომ მალე მოუვლინე ჩვენს იმპერატორს სიკვდილი და ამით დაიხსენი ტანჯვათაგანაო. ასეთი პასტერები აღმოჩენილან ოდერსბერგსა, პოდსტამსა და ზერნშტედში. ერთს პასტერს ასე დაუწყია ლოცვა: ღმერთო, შენ მიანიჭე სანეტარო განსვენება იმპერატორს ვილჰელმსაო. შენვე გევედრებით, დაიხსნა ტანჯვისაგან იმპერატორი ფრიდრიხი და სალი ჯანი მიეცი მემკვიდრე პრინცს ვილჰელმსაო. ახირებული ლოცვა და ახირებული პასტორი თუ გინდათ, ეს არის.

## წვრილი ამბები

განათლების მხრივ ძალიან წინ წასულა თურმე ამ უკანასკნელ ოც-და-ათ წელიწადში იაპონია. დიდი ხანია ლილა გაუცვდა იმ თქმულებას, რომ რომლისამე ერის განათლების შეტყობა იმით შეიძლება, თუ გვეცოდინება, რომელი ერი რამდენს საპონსა ჰხმარობსო. ეხლა რომლისამე ერის განათლებას იმით ანგარიშობენ, თუ სად რამდენი სტამბაა და რამდენი საბეჭდავი მაშინა მუშაობს. ამ უკანასკნელს დროს იაპონიამ თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა თვით მეტად განათლებულ ევროპის ერთა შორისაც-კი. 1884 წელს იაპონიაში ბეჭდვითს სიტყვას თავისუფლება მიენიჭა. იაპონიის სატახტო ქალაქს ტოკიოში, რომელიც მცხოვრებელთა რიცხვით არაფრით ჩამორჩება ვენას, ამ ჟამად თექვსმეტი დიდი ყოველ-დღიური გაზეთი იბეჭდება და ას ოთხმოც-და-ექვსი კიდევ სხვა ჟურნალ-გაზეთი არსებობს, რომელნიც ყოველ დღე არ გამოდიან. მთავრობამ მხოლოდ იმის უფლება დაინარჩუნა, რომ შეუძლიან რომელისამე ჟურნალის ან გაზეთის ნომერი აღკრძალოს, თუ ამ გაზეთ-ჟურნალში დაიბეჭდა მავნე წერილი, ისეთი წერილი, რომელიც საზოგადოების კეთილ-დღეობას და ან სახელმწიფოსას ხელს უშლის რითიმე და ზარალს აძლევს. დამნაშავე მწერალთ ფულად ჯარიმა ერთმევათ და უკიდურეს შემთხვევაში საპატიმროში იქმნებიან დამწყვდეულნი. ზოგიერთს გაზეთებს ამის გამო ადრევე დაჭერილი ჰყავთ ისეთი რედაქტორები, რომელთა მარტო სახელია და არა სახრავი. იაპონელებს ძალიან უყვართ კითხვა და დიდ-ძალი წიგნებიც იბეჭდება ამ ქვეყანაში. ასე წარმოიდგინეთ, მთელს იაპონიაში 5,000-მდე წიგნის მაღაზია იქნება. იაპონიის პროვინციაში 273 სხვა-და-სხვა გაზეთი გამოდის.

— გაზეთ „Times“-ის კორრესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდგან იუწყება, რომ ბრაზილიის მთავრობის ბრძანებით 3,800 ინდოელი, გუაიმის ტომისანი, მოსწამლესო. აქ უველაზედ საკვირველი ის არის, რომ აქამდე ბრაზილიის მთავრობა არ უარ-ჰყოფს ამ ამბავსა.

— ამას წინად საფრანგეთში სიხარულისაგან გარდაცვლილა სამოცის წლის მებაღე ფალანდრი. ამ კაცს რაღაცა დანაშაულისათვის გარდაწყვეტილი ჰქონდა ექვსის თვით ციხეში დაპატიმრება და დაამწყვდიეს კიდეც თურმე, რომ ამ დროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანაშაული აპატია. ციხეების დირექტორი ორის ჟანდარმით შევიდა თურმე ამ კაცთან სასიხარულო ამბის გამოსაცხადებლად. როცა გაუმჟღავნეს მებაღეს ეს ამბავი, სიხარულისაგან აკანკალდა, გაიფართხალა და იქვე სული დალია თურმე.

— რუმინიის გაზეთებში დაბეჭდილია მეტად ახირებული განცხადება. აი ეს განცხადებაც: „ექიმი ბაბოჩენი ეძებს ახალგაზდასა და ჯან-საღს კაცსა და დედაკაცს, კაი ჯამაგირს დაუნიშნავს, თუ დათანხმდებიან და იკისრებენ შემდეგს მოვალეობას: ხსენებულის ექიმის კარებ წინ უნდა იდგნენ და ყველას უთხრან, რომ ავადმყოფები ვართ და ვიცდით, ვიდრე ექიმი მოიცლის და გაგვსინჯამსო. მსურველი მობრძანდეს და სხვანი“.

— ლონდონის სასამართლოს ამას წინად სამი სასაცილო საქმე გაურჩევია განქორწინების შესახებ. პირველი საქმე იმაში მდგომარეობდა თურმე, რომ 15 წლის მოსწავლე თხოულობდა—განმაქორწინეთ ჩემს ცოლსაო, რომელიც ოთხის წლით დიდი ყოფილა ქმარზედ. ამ ქალს უმაწვილი ეყოლა თურმე მაშინ, როცა ქმარი სხვა ქვეყანაში იყო წასული, და ეხლა ქმარი უარსა ჰყოფს, ეგ უმაწვილი ჩემი შვილი არ არისო. მეორე საჩივარიც ქმარს დაუწყია, რომლისაც ცოლი დაჰპირებია, რომ ოთხის კვირის შემდეგ თავს დაგანებებო და დაუნებებია კიდეც. მესამე საჩივარიც ქმარს შეუტანია სასამართლოში. ამ კაცის ცოლი უკმაყოფილო ყოფილა იმით, რომ ჩემი ქმარი ძალიან მშვიდობიანი კაცია, მე მინდა მეტის-მეტი მღელვარება გამოვცადო, აღშფოთებული და ვნებით სავსე ცხოვრება გამოვიარო და ამიტომ თავი უნდა დავანებოვო. მართლაც, ამ დედაკაცს ვიდაც კაცი უპოვნია თავის გუნებისა და გაჰყოლია.

## დეპეშა

28 აპრილი

**პეტერბურგი.** „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია შენიშვნა იმ წერილების გამო, რომელიც „Нов. Время“-ში იბეჭდებოდა ამას წინად ასეთის სათაურით: „რუსეთი და ბოლგარია“ და რომელსაც ქვეშ ტატიშჩევის სახელი ეწერა. «ჩვენ იმაზე არას ვიტყვითო, ამბობს გაზეთი,—რამ აიძულა ტატიშჩევი ასეთი წერილები დაეწერა, მაგრამ ის-კი უნდა დარწმუნებით ვსთქვათ, რომ პირუთვნელი და ყოველ მხრივ დაფასება ბოლგარიისა და რუსეთის შესახების გარემოებისა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან მასალა ამისთვის საკმაოდ არ არის მოგროვილი და ამას გარდა ყველა ის გარემოება და დღევანდელი საპოლიტიკო ყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული და გადაბმული. ამ მიზეზების გამო ავტორის ლაპარაკი რუსეთის წარმომადგენელთა შესახებ ბოლგარიაში ცარიელი უსაფუძვლო და მოუფიქრებელი სიტყვებია. ასეთის ლაპარაკის სიმწვავე და თავხედობა მით უფრო ნაკლებ არის შესაწყნარებელი, რომ ზემოხსენებულთა წარმომადგენელთ არ შეუძლიანთ თავიანთ დასაცველად მწერლობას მიჰმართონ და გამოაშკარაონ ყოველივე გარემოება. ამ გვარს ყოფაში ტატიშჩევის წერილებს არა თუ შეცდომილებაში შეჰყავს რუსეთის მკითხველი საზოგადოება, არამედ გულს უკეთებს რუსეთის მტრებს, რომელთაც შეუძლიანთ ხელში დაიჭირონ რუსეთის პუბლიცისტის ნათქვამი და პასუხის გება დღევანდელის საპოლიტიკო ყოფისათვის რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთ მოახვიონ თავზე. ყველანი, ვინც-კი შუამავლად ყოფილან რუსეთსა და ბოლგარიის სამთავროს შორის, ერთსა და იმავე გზას ადგნენ: ყველანი მხურვალედ ჰზრუნავდნენ ბოლგარიის კეთილ-დღეობისათვის და განუწყვეტლივ სცდილობდნენ ჩაეგონებინათ, ვისთვისაც ჯერ იყო, რომ საჭიროა დაცვა მართლმადიდებლის ეკკლესიისაო, რომლის მადლობელნიც უნდა იყვნენ ბოლგარნი, რომ შეირჩინეს ეროვნული სახელი ჟამსა მონებისასა. ისინივე სცდილობდნენ ზნეობის დაცვისათვის სკოლებში, წესისა და რიგის დამყარებისათვის ჯარში და ქვეყნის შეძლების დამზოგველობისათვის. ყოველს ამას ყურს უგდებდნენ ისინი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო და რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა ის თავისუფლება, რომელიცა ჰქონდა მინიჭებული სამთავროს საშინაო საქმეთა მართვა-გამგეობაში. რაიცა შეეხება იმ ურთიერთობას, რომელიც ჰსუფევდა რუსეთის წარმომადგენელთა და იქაურ კერძო კაცთა და დასთა შორის, რასაკვირველია, ყოველთვის ერთ ნაირი ვერ იქნება იგი ურთიერთობა, სხვა არა იყოს-რა, თუნდა მარტო იმ მიზეზით, რომ ბოლგარიამ ფრიად უცბად მიატოვა დამონებული ცხოვრება და საკონსტიტუციო მმართველობა დაიწყო. ამ გარემოებამ, სახელდობრ, რომ ასე სწრაფად შეიცვალა ბოლგარიის ცხოვრება, ძალიან სწრაფადვე აღაგზნო საპოლიტიკო გულის-თქმანი. ხოლო ასე აღგზნებულ გულის-თქმათა გამო სამთავროს სახელმწიფო ცხოვრებაში გახშირდა დაუდგრომელობა. გულის-თქმანივე უშლიდნენ ბოლგარიის მოღვაწეებს იმ ნდობითა და პირუთვნელობით მოჰქცეოდნენ იმპერატორის მთავრობის საკეთილო განზრახვასა და ფიქრსა, რა ნდობისა და პირუთვნელობის იმედიცა ჰქონდა. აი ამ სამწუხარო გარემოებასა და კიდევ ბევრს სხვა ამისთანავე უცხო გავლენაში უნდა მოვსძებნოთ ახსნა იმისი, რომ ნელ-ნელა უსიამოვნება ჩამოვარდა ბოლგარიასა და რუსეთს შორის, უსიამოვნება, რომელმაც აიძულა ბოლოს იმპერატორის მთავრობა გამოეყვანა ბოლგარიიდამ თავისი წარმომადგენელნი. ამით ჩვენს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ დრო და გამოცდილება აიძულებს ბოლოს ბოლგარიის მოღვაწეებს, სცნან თავისი შეცდომანიო. რუსეთის მთავრობამ შეასრულა ყოველივე, რაც-კი იმისგან შეიძლებოდა, რათა მოსულიყვნენ ისინი ჭკუაზე, დაჰბრუნებოდნენ კანონიერს გზასა და მოესპოთ უსიამოვნება რუსეთსა და ბოლგარიას შორის. „Правит. Вѣстникъ.“-ში იყო დაბეჭდილი პროგრამა, რომელსაც უნდა დასდგომოდა ჩვენი მთავრობა ბოლგარიის შესახებ; ეს პროგრამა დღესაც შეუცვლელია და, თუ დღევანდლამდე მაინც არ მოისპო უსიამოვნება რუსეთსა და ბოლგარიას შორის, პასუხის გება ამის გამო მხოლოდ იმათ უნდა იტვირთონ, ვინც მთავრობის წარმომადგენელია სამთავროში».

---

დაბრუნდა შინ. ვინ იცის, საწყალს რა რიგად მიუხაროდა. იქნება ჰფიქრობდა კიდეც: აი მივალ შინ, ცოლი ალერსით, მხიარულად დამხვდება, და მეც სიხარულსა და მოსვენებას მივცემიო! ამაო იყო იმის ოცნება, ტყუილი გამოდგა იმის იმედი. ვერც-კი მოასწრო საბრალომ კარებში ფეხის შედგმა, რომ ცოლი გაავთრებული მოჰვარდა, შეჰქმნა საშინელი წივილ-კივილი და უშვერის სიტყვებით დაუწყო ლანძღვა:

— რას მიშვრები, შე ავაზაკო! რაზე მკლავ ცემით, შე სარჩობელაზე ჩამოსაკიდო, შე ავო სულო...

ჰლანძღავდა და თან სკამებს, სტოლებს, ავეჯეულობას ისროდა აქეთ-იქით. ერთის სიტყვით, ჯოჯოხეთი დააყენა სახლში.

ამ ვაი-ვაგლახზე მეზობლები მოცვივდნენ. ქმარი გაშტერებული იდგა და გაოცებული შეჰყურებდა თავის ცოლსა. ვერ მიმხვდარიყო, რა მოჰსვლია, რა დაჰმართნია ამ დედაკაცსაო.

ცოლმა-კი, დაინახა თუ არა გარეშე ხალხი, უფრო გაანჩხლდა, გაცეცხლდა და ტირილითა და ქვითინით შეჰხიოდა:

— ერთი შეხედეთ, რა მიყო ამ ავაზაკმა,—თავის ქმარზე უჩვენებდა—როგორ დამქეჯა და დამამტვრია, და ამასთან უჩვენებდა სახეზე, რომელიც მართლა ძლიერ ნაცემი და დალურჯებული ჰქონდა.

ყველამ ცოლის მხარე დაიჭირა ქმარს-კი ლანძღვა და ჩხუბი დაუწყეს,—როგორ არა გრცხვენიან, რომ დედაკაცს აგრე უღიერად ექცევიო. ზოგმა კიდეც ურჩია გაუპატიურებულს ცოლსა, სასამართლოში უჩივლე შენ ქმარს და გაეყარეო.

საწყალს ქმარს თან სირცხვილი სწვავდა, თან გულზე ბრაზი აწვებოდა; გონს ვერ მოსულიყო, რომ თავი გაემართლებინა, თუმცა სრულიად უბრალო იყო და ცოლისათვის ხელიც არ დაეკარებინა. ეს ძალიან კარგად ახსოვდა, მაგრამ მაშ ეს რა ხათაბალაა, რომ ყველა იმას ამტყუნებს და ეუბნება,—შენა სცემე შენს ცოლსაო.

ბევრი იფიქრა ამაზედ და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ თითონვე ეჭვში შევიდა: იქნება მე თითონ ვსტყუვდებიო? რა ვქნა, თუ ვცემე, რატომ არ მახსოვს? მაგრამ იქნება დამემართა რამე. იქნება იმ დროს ჭკუაზე შევიშალე, ამ ყოფაში გამოვილე ჩემს ცოლზე ხელი, და ამიტომ ეს ამბავი გონებიდამ გადამივარდა...

ვერ მიჰხვდით, მკითხველო, რა ამბავია? მაშ აი გამოცანის ახსნაც.

სწორედ იმის წინა დღეს, როდესაც ამ უცნაურის ცოლ-ქმრის საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში, უბრალოდ დაწამებულს ქმარს შემდეგი წერილი მოუვიდა:

„ჩემო მეგობარო! სჯობს გამოვსტყდე და ყველაფერი გულ-ახდილად გიამბო. კეთილი, კარგი კაცი ხარ და არ მინდა, რომ ჩემის წყალობით რაიმე უსიამოვნება გამოიარო.

«რა დაგიმალო, ეს ნახევარ წელიწადია, რაც შენი ცოლი შენ გღალატობს და შენ ჩემზე გაგცვალა. გეფიცები, ჩემი ბრალი არ არის, შენმა ცოლმა პირველმა დამიწყო არშიყობა. მანამ საქმე ასე იყო, მე არაფერს ვამბობდი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, შენ ცოლს რა სულელური აზრი მოუვიდა თავში: ჩემს ქმარს უნდა გავეყარო და შენ წამოგყვე ცოლადაო. მაგრამ რადგან გაყრისათვის რაიმე შესაწყნარებელი საბუთი იყო საჭირო კანონის წინაშე, და ასეთი საბუთი ხელში არა ჰქონდა-რა, ამიტომ აი რა ხერხი მოიგონა:

„მოდი და შენა მცემეო—მითხრა მე,—ხოლო ისე-კი, რომ არც ძალიან მეტკინოს და ნაცემიც-კი დამაჩნდეს. მერე როდესაც ჩემი ქმარი მოვა, ყველაფერს იმას გადავაბრალებ, და აი საბუთი მექნება დასამტკიცებლად, რომ ჩემი ქმარი მცემს და ყოვლად ცუდად მეპყრობაო.

„სწორედ ასეც მოუხერხებია მაგ კუდიანს დედაკაცს. მაგრამ მე მაინც ვიფიქრე, ეს დედაკაცი სანდო არ არის-მეთქი: თუ ერთს ქმარს ასე ეშმაკურად მოექცა, არც მე ირგებს მიაყენებს დიდს ბედნიერებასა-მეთქი. ამიტომ ისევ ის ვარჩიე, რომ შენი ცოლი შენთანვე დარჩეს. გარწმუნებ, ასე სჯობს. ცემით-კი შენ ნულარა სცემ, ჩემიც ეყოფა: ღვთის წყალობა გაქვს, ლაზათიანად ეგ მივტყიპე.

„მე პარიჟიდამ მივდივარ. ძვირს ნუ იქონიებ ჩემზედ გულში, ყველაფერი დაივიწყებას მიეც; მხოლოდ გახსოვდეს შენი ძველი მეგობარი“.

ეს წერილი პირველად სასამართლოში წაიკითხეს საქმის გარჩევის დროს. ყველას პირს კატა-კი ეცათ; ელდა ნაკრავივით, ყველანი პირ-ღია დარჩნენ.

ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, მკითხველო, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო ცოლი, რომელსაც ცემა ცემად შერჩა და საქმეც საქმეზე-კი ვერ მოაწყო?...

მაინც-კი ყოჩაღ, ღმერთმანი, დედაკაცო: ცემასაც-კი არ შეუშინდა, ოღონდ თავის წადილი აესრულებინა. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: თუ დედაკაცმა გაიწია, ცხრა ულელი ხარი ველარ შეაყენებსო.

მერე საქმეც რა მოხერხებულად არის დაწყებული და წაყვანილი? ამასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვით ცხრა ჰახრაკში გამოსული დიპლომატი! თუ საქმე ბოლომდე ვერ მივიდა, დედაკაცის ბრალი არ იყო, ლაჩარი მამაკაცი ბოლომდე ველარ მიჰყვა და უღალატა...

ეჰ, საკვირველ არიან საქმენი შენნი, ჰოი დედაკაცო, და მიუწდომელ განზრახვანი შენნი!..

დონ იაგო

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი $2^1/_2$-დგან 3%-მდე.

**სოფია.** ტირნოვოს პრეფექტი დეპეშით ატყობინებს მთავრობას, რომ ბრბო, რომელიც შეუდგენიათ ბოლგარიიდგან გადახვეწილთ 25 თუ 30 კაცს, ცდილობდა ბოლგარიის საზღვარზე გადმოეპიჯა, მაგრამ მთაში გაიქცა, რადგანაც საზღვრის დარაჯებმა თოფი ესროლეს. მეორე ღამეს იგივე ბრბო გამოჩნდა რადომირის მახლობლად, მაგრამ ჟანდარმებმა რამდენიმე კაცი მოჰკლეს და დასჭრეს; დანარჩენნი გაიქცნენ.

29 აპრილი

**პეტერბურგი** «С.-Петерб. Вѣд.»-ი ამბობს, რომ სამოქალაქო უწყების მოხელეთათვის საპენსიო კასსის მოწყობის საქმე გარდაწყვეტილი იქმნება სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესიაზე, ასე რომ საპენსიო კასსა 1889 წელს გაიხსნება.

**ვენა.** გუშინ აქ მოვიდა დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული. იმპერატორმა რუსეთის მუნდირით და აგრეთვე ჰერცოგებმა დარბაზობა გაუწიეს დიდს მთავრინას, რომელიც ამის შემდეგ იმპერატორთან და იმპერატრიცასთან იყო სადამოზედ მთავრინას პატივსაცემლად მის იმპერატორებით უმაღლესობათ სადღესასწაულო სადილი ჰქონდათ.

**ბერლინი.** იმპერატორი უფრო და უფრო უკეთ არის.

**ბელგრადი.** ნამინისტრ პრეზიდენტარი გენერალი გრუიჩი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან იმის გამო, რომ კვლავ განიმეორა—ავსტრიის ელჩი დაუფარავად ცდილობდა რადიკალ კაბინეტის ძირს დამხობასაო. დათხოვნილ იქმნა აგრეთვე გენერალი ლეშანინი.

დედოფალს ნატალიას ორის კვირის შემდეგ მოელიან ბელგრადში.

**მილანი.** აქ მყოფი ბრაზილიის იმპერატორი ძალიან ავად შეიქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი

| | [illegible] | გამყიდველი | მყიდველი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 9 65 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $192^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 269 „ | — „ | — „ |
| —მეორისა | 243 „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | $98^1/_2$ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | $98^1/_2$ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | $83^1/_2$ | — „ |

САКАЛЕНДАРО ЦНОБАНИ

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—ჳპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის.

30 დღე შაბათი. წმ. მოწ. იაკობისა კათოლ. ეკატერინეხი მესხელ მე-2 რიცხვი ... 1304 წ. ... მზე ამოდის 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9. მთვარე 2 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. | |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| „ 2 „ | $2^1/_2$ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | $3^1/_2$ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ძროხის ხორცი | 12 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამზოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** | 1 | 02 | 1 | 17 | **რიონი** | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა** | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი** | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | საღამოთი | | | |
| **გორი** | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** | 8 | 34 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 §-ის ძალით 14 მაისს ამა 1888 წ., დილის 10 საათზე, დანიშნულია საერთო კრება წევრთა ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1887 წ. ვანმავლობაში;

2) მოხსენება თეატრის გადაკეთებისა, ქარვასლის შეკეთებისა და აგრეთვე ყველა ამ ქარვასლაში ახლად გაკეთებულის შენობის თაობაზედ;

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთა აღრიცხვაზედ 1888 წლისათვის;

4) მოხსენება ბანკის მმართველობისა წმინდა მოგების თაობაზედ, რომლიდამაც 35% უნდა გადადებულ იქმნას საერთო საჭიროებისათვის.

5) მოხსენება იმ შემწეობის თაობაზედ, რომელიც უნდა აღმოეჩინოს ბანკში მოსამსახურეთა, ვინიცობაა ეს უკანასკნელნი ავადმყოფობამ დაივლო.

6) არჩევანი ზედამხედველის კომიტეტის რვა წევრისა, რომელთაგანაც ა. ს. გამრეკელი, თ. ი. ი. ციციანოვი თავის თავად გავიდნენ და ბ-ნი დ. ქ. ყიფიანი, თ. დ. ი. ავალოვი, თ. რ. შ. ერისთავი, თ. რ. დ. ერისთავი, თ. რ. კ. ვაჩნაძე და თ. დ. ზ. ბარათაშვილი რიგით გადიან;

7) არჩევანი მმართველობის თავმჯდომარისა ნაცვლად თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობას;

8) არჩევანი დამფასებელის კომისიის თავ-მჯდომარისა ნაცვლად კ. ლ. ფურცელაძისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს კომისიის თავმჯდომარეობას. (5—3)

---

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მოძღვარი**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—12)

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| ჩატეხილი ხიდი, შენიშვნები „ოთარაანთ ქვრივზე“ | „ | 15 |

---

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

შვედურის ასანთისა

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

**ქარხანა**

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში

(50—39)

---

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა იმყოფება ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რამე საქმე ექნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართოს: Тифлисъ. Въ канцелярію (въ книжный складъ) общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—16)

Доз. ценз. Тифлисъ, 29-го апрѣля 1888 года. Типографія „Кавк. Обозр.“ (Н. И. Френкель) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.